საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა საქმეზე N3030/10/07

დისციპლინურის სახდელის დადების შესახებ

2007 წ. 10 ოქტომბერს ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით თავჯდომარე: ეკა ბესელია, წევრები: ციცინო ცხვედიანი, ნორა აბულაძე, საპროცესო კოლეგიის სახელით ბრალდების წარმომდგენი გიორგი ტურაზაშვილი განიხილა ადვოკატ ზ. ფ.-ს დისციპლინური ბრალდების საქმე და გამოარკვია შემდეგი:

2007 წლის 4 ივლისს ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში“ შემოვიდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლის ვ. გ.-ს საჩივარი ადვოკატ ზ. ფ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ. აღნიშნული საჩივარი განიხილა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: თავჯდომარე: ქ. ქვარცხავა, კოლეგიის წევრები: გ. ტურაზაშვილი, თ. იარაჯული.

საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საჩივარი და თანდართული მასალები, გამოითხოვა დოკუმენტები, მოისმინა და გამოიკვლია მხარეთა პოზიცია-მოსაზრებები, რის შედეგადაც დაადგინა;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ადვოკატ ზ. ფ.-მ 2007 წ. 23 აპრილს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N5 საპყრობილეში პატიმარ ვ. ხ.-სთან შეხვედრამდე, საპყრობილის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას, მოახდინა გაურკვეველი საგნის - სავარაუდოდ ნარკოტიკული ნივთიერების გადაყლაპვა. იმავე დღეს ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის, თ.ღ.-ს მიერ შედგენილი დასკვნის თანახმად, ადვოკატი იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-6 მუხლის მე-3 „ა“ „ბ“ „გ“ და მე-8 მუხლის 1 „ა“ და მე-2 პუნქტით 2007 წ. 30 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნულ საქმეზე დისციპლინური წრმოების შეჩერების შესახებ, რასაც საფუძვლად დაედო ადვოკატ ზ. ფ.-ს მიმართ მიმდინარე წინასწარი გამოძიება. კოლეგიამ მიზანშეწონილად მიიჩნია შემაჯამებელი გადაწყვეტილების არსებობა საქმის მასალებში, რის გამოც შეაჩერა დისციპლინური საქმის წარმოება ადვოკატ ზ. ფ.-ს მიმართ შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებიდან.

გამოძიებისგან მიღებული ზეპირი ინფორმაციისა და მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, წინასწარ გამოძიებას ფაქტობრივად არ გააჩნია საგამოძიებო ვადის

ლიმიტი და არსებობდა იმის შესაძლებლობა, რომ გამოძიების საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა და მისი ეთიკის კომისიაში მიღება გაჭიანურებულიყო, აქედან გამომდინარე კოლეგიამ იხელმძღვანელა რა მის ხელთ არსებული და შესწავლილი მასალებით, მიიჩნია, რომ უნდა განახლებულიყო ადვოკატ ზ. ფ.-ს მიმართ დისციპლინური საქმის წარმოება საპროცესო კოლეგიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით და ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-8 მუხლის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად 2007 წ. 30 აგვისტოს მიიღო გადაწყვეტილება ზ.ფ.-ს მიმართ დისციპლინური წარმოების განახლების შესახებ.

საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ზ. ფ.-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატისათვის შეუფერებელი ქმედებისა და პროფესიული ღირსების შელახვას, რაც საკმარისი საფუძველია მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისათვის.

2007წ. 31 აგვისტოს საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლით, დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-9 მუხლის 1 პუნქტით და გადაწყვიტა აღეძრა დისციპლინური დევნა ადვოკატ ზ. ფ.-ს მიმართ და საქმე გადაეცა ეთიკის კომისიის თავმჯდომარისათვის წარმოების გასაგრძელებლად. 2007წ. 5 სექტემბერს საქმე განსახილველად გადაეცა განხილვის კოლეგიას.

განხილვის კოლეგიამ, მოუსმინა მხარეებს, გამოიკვლია მოპოვებული მასალები და მიიჩნია:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ავალდებულებს ადვოკატს შეინარჩუნოს პირადი ღირსება და პატიოსნება, ადვოკატის ვალდებულებაა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ ეჭვქვეშ დააყენოს ადვოკატის პროფესიული ავტორიტეტი.

ეთიკის კომისიის განხილვის კომისია სრულიად მიუღებლად მიიჩნევს ადვოკატის მხრიდან ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტს და მიიჩნევს, რომ ეს ადვოკატის პროფესიისათვის შეურაცხმყოფელი ფაქტია.

კოლეგია სადაოდ ვერ გახდის სამედიცინო დასკვნას, რადგან ადვოკატს არ წარმოუდგენია განხილვის კოლეგიისათვის რაიმე დოკუმენტი, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა ზემოთ აღნიშნულ სამედიცინო დასკვნას. ადვოკატმა ზ. ფ. ვერ ახსნა დამაჯერებლად თუ რატომ არ გადაამოწმა ალტერნატიული სამედიცინო გამოკვლევით მის მიერ ნარკოტიკების მიღების ფაქტი, თუკი იგი სადაოდ მიაჩნდა.

ამდენად, კოლეგია დადგენილად მიიჩნევს ადვოკატ ზ. ფ-ს მიერ ნარკოტიკული ნივთიერების მიღების ფაქტს.

კოლეგიამ სახდელის დაკისრების დროს მხედველობაში მიიღო გადაცდომის სიმძიმე და თანახმად ადვოკატთა შესახებ კანონის 34, 35 მუხლებისა, ეთიკის კოდექსის 1-ლი და მე-3 მუხლებისა, ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-2, 4, 10, 11, 13, 18, 19, 20 მუხლებისა, გადაწყვიტა

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ადვოკატ ზ. ფ.-ს დისციპლინური სახდელის სახით ჩამოერთვას საადვოკატო საქმიანობის უფლება 6 თვის ვადით.

ადვოკატს უფლება აქვს გაასაჩივროს წინამდებარე გადაწყვეტილება, ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

გადაწყვეტილებას თან ერთვის კოლეგიის თავმჯდომარის განსხვავებული აზრი დაკისრებულ სახდელზე.

ე. ბესელია

ც. ცხვედიანი

ნ. აბულაძე

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ეკა ბესელიას განსხვავებული აზრი განხილვის კოლეგიის 2007 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე.

განსხვავებული მოსაზრება მაქვს სახდელთან დაკავშირებით, კერძოდ მიმაჩნია, რომ ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის მიხედვით სახდელის სახით უნდა განესაზღვროს საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ერთი წლის ვადით.

ე. ბესელია

განხილვის კოლეგიის თავმჯდომარე